საქმე №330310023006911607
საქმე №3/1216-23

8455520967214
www.ecd.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
ხარვეზის დადგენის შესახებ

28 თებერვალი, 2023 წელი **თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - სალომე სამხარაძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა

მოპასუხე - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება.

სასამართლომ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2023 წლის 23 თებერვალს, ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებმა სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს:
- ბათილად იქნეს ცნობილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-144 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.
- დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-144 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია. კერძოდ - 2021 წლის 1 დეკემბრიდან ინფორმაციის მოსარჩელეზე გადაცემის მომენტამდე შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის" საქმიანობასთან დაკავშირებით შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- სამინისტროში (მათ შორის, სამინისტროს რომელიმე სტრუქტურულ

ერთეულში) კომპანიის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტისა და წერილის ასლი.

- სამინისტროს უწყებების მიერ შექმნილი ან და მიღებული დოკუმენტების ასლი.
- სამინისტროს უწყებების მიერ კომპანიისა თუ სხვა უწყებებისათვის/პირებისათვის გაგზავნილი ყველა დოკუმენტისა და წერილის ასლი.

სასამართლო გაეცნო სარჩელს, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე და 445-ე მუხლების მოთხოვნებს, კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. თუმცა, **აღნიშნული აქტი სარჩელს არ ერთვის**. შესაბამისად, წარმოსადგენია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ

ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მთლიანად უნდა დაბრუნდეს.

ზემოთ მითითებული ხარვეზების შესავსებად მოსარჩელეს უნდა განესაზღვროს 10 (ათი) დღის ვადა, ხარვეზის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის უკან დაბრუნების შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-13, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 445-ე, 447-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას საქართველოს სარჩელზე დადგინდეს ხარვეზი. მოსარჩელეს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად განესაზღვროს10 (ათი) დღის ვადა.

2. ვადის ათვლა დაიწყოს განჩინების ასლის მხარისათვის გადაცემის დღიდან.

3. განემარტოს მოსარჩელეს, რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე **სალომე სამხარაძე**